

## პუბლიცისტური მხედრობა

მაია თევზაძე  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

### გენდერული სტერეოტიპების მოდიფიცირების ფაქტორები

გენდერულ სტერეოტიპებს განიხილავენ როგორც წარმოდგენებს მამაკაცებისა და ქალების როგორც პიროვნული, ასევე ფიზიკური ნიშან-თვისებების, ქცევითი მოდელის, უნარებისა და ინტერესების, სოციალური როლებისა და საქმიანობის შესახებ.

მასკულიზური და ფემინური თვისებების ერთ-ერთი პირველი ჩამონათვალი შედგენილ იქნა ფსიქოლოგების ჯგუფის მიერ ბროვერმანის ხელმძღვანელობით ემპირიული კვლევის საფუძველზე (2).

მამაკაცის სტერეოტიპულ ხატში ფიგურირებს თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, ქმედუნარიანობასა და აქტიურობასთან, ძალაუფლებასა და მართვის უნართან (მაგ., გადაწყვეტილების მიღების უნარი, თავშეკავებულობა, ძლიერება, პასუხისმგებლობა...). ქალს, პირიქით, არ მიეწერება ეს თვისებები, მას მიაწერენ პასიურობას, გადაწყვეტილების მიღების უნარის არ ქონას, მორჩილებას, უსუსურობას. კოგნიტურ სფეროში "მამაკაცური" რაციონალურობა, ობიექტურობა და ა. შ. უპირისპირდება "ქალურ" ირაციონალურობას, აღქმის არაკრიტიკულობას და თავად სისულელესაც კი. ემოციურ სფეროში მასკულიზურად ითვლება თავშეკავებულობა, ცივისსხლიანობა, ხოლო ფემინურად - მგრძობიარობა, ხასიათის ადვილი ცვალებადობა, შთაბეჭდილებიანობა. სტერეოტიპიზაციას ექვემდებარება ქალებისა და მამაკაცების სოციალური როლების სფეროც. მასკულიზობა ტრადიციულად უკავშირდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, ხოლო ფემინურობა - პრივატულ სფეროს (ოჯახი, სახლი, ყოველდღიური ყოფა, ბავშვების აღზრდა). მამაკაცი უპირველეს ყოვლისა აღიქმება როგორც მშრომელი და მოქალაქე, ხოლო ქალი-როგორც მეუღლე და დედა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება გენდერული სტერეოტიპებისა მდგომარეობს მათ მდგრადობაში. მაგალითად, თანამედროვე წარმოდგენები ქალების ემოციურობის შესახებ და შუა საუკუნეებში გაბატონებული აზრი, რომ ქალებს არა აქვთ საკუთარი გრძობების გაკონტროლების უნარი, დაახლოებით იდენტურია, ისევე როგორც არ შეცვლილა ძალაუფლების დაკავშირება მამაკაცურ საწყისთან, რომელიც არის გონიერი, სამართლიანი და არ ექვემდებარება ემოციებს. ასევე არსებობს მსგავსება თანამედროვე სტერეოტიპებისა მამაკაცების დამოუკიდებლობის, ქმედუნარიანობისა და შუა საუკუნეების და ანტიკური ეპოქის წარმოდგენებისა იმის შესახებ, რომ მამაკაცი პასუხისმგებელია ქალის უპასუხისმგებლო, გაუაზრებელ საქციელზე. (4).

სტერეოტიპები, მიუხედავად მათი მდგრადობისა, მაინც არ არიან სრულიად უცვლელნი. მათი შინაარსი კორექტირდება სოციალური კონტექსტის მიხედვით, სუბიექტებისა და ობიექტების სტატუსური პოზიციების, ჯგუფებს შორის ურთიერთობათა მახასიათებლების მიხედვით.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც განაპირობებს ცვლილებებს მამაკაცებსა და ქალებზე წარმოდგენებს შორის, უნდა დასახელდეს კულტურის, სოციალური კლასის, რასის, ეთნიკურობის, პროფესიული სტატუსის, სექსუალური ორიენტაციისა და კიდევ ბევრი სხვა მახასიათებლის გავლენა.

განსაკუთრებით ხშირია გენდერული სტერეოტიპების მოდიფიცირების ეთნიკურ/რასობრივი ფაქტორის კვლევები. მაგალითად, აშშ-ში განსხვავდება შავკანიანი და თეთრკანიანი მამაკაცების აღქმა. პირველები მიჩნეულია ნაკლებად კომპეტენტურებად, ნაკლებად დამოუკიდებლებად, ნაკლებად ქმედუნარიანებად, ხოლო შავკანიანი ქალები,

პირიქით, უფრო აქტიურებად, დამოუკიდებლად და ნაკლებად ემოციურებად, ვიდრე თეთრკანიანი ქალები, რაც დაკავშირებულია შავკანიანი ქალების ისტორიულად ბევრად უფრო აქტიურ როლთან შრომით ბაზარზე (1).

გენდერული სტერეოტიპების კორექტირებისათვის არანაკლები მნიშვნელობის არის ასაკობრივი ფაქტორი. მაგალითად, ვინაიდან ასაკთან ერთად ქალები მეტად ქმედუნარიანები ხდებიან, ფემინურ სტერეოტიპში შედის ცვლილებები, დაკავშირებული მათი მოღვაწეობის, აქტიურობისა და სოციალური მდგომარეობის შეფასებასთან. სტერეოტიპის მოდიფიკაცია ხდება ასევე სქესობრივი ორიენტაციის, კლასობრივი მიკუთვნებულობის (დაბალი კლასის ქალი ხშირად ხასიათდება როგორც ბევრად უფრო პასიური და უპასუხისმგებლო, ვიდრე საშუალო კლასის წარმომადგენელი) მიხედვით.

გენდერული სტერეოტიპების დინამიურობა დაკავშირებულია ასევე იმასთან, რომ სხვა სტერეოტიპების მსგავსად ისინიც იცვლებიან სოციალური წარმოდგენებისა და ნორმების ცვლილებებთან ერთად. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა საყოველთაოდ არსებული წარმოდგენა მამაკაცზე როგორც ერთადერთ მარჩენალზე და ოჯახის დამცველზე, ხოლო ქალზე, როგორც სუსტ და დაუცველ არსებაზე. ეს კი განპირობებულია უახლეს ეპოქაში სოციალურ ცხოვრებაში ქალების როლის მკვეთრი ზრდით.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს მამაკაცებისა და ქალების აღქმაზე სტერეოტიპული წარმოდგენების ფარგლებში.

სტერეოტიპებში ორი სტატუსის ხაზგასმა (საქმიანი ქალი, ქართველი ქალი, შავკანიანი ქალი-ადვოკატი, ქართველი დედა...) არ გულისხმობს შესაბამისი შემადგენლების მახასიათებლების ავტომატურ შეკრებას. იქმნება ერთგვარი განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ნაწილობრივ ემთხვევა ორივე შემადგენელს, თუმცა შეიძლება დაემატოს დამატებითი მნიშვნელობები. ასე მაგალითად, სტერეოტიპული წარმოდგენა შავკანიანი ქალი ადვოკატების შესახებ, რომელსაც იზიარებს თანამედროვე ამერიკელების უმრავლესობა, გულისხმობს, რომ ისინი მზად არიან აქტიურად იბრძოლონ ღარიბი ქალების უფლებებისათვის, ანუ მათ მიაწერენ თვისებას, რომელიც აუცილებლად არ ასოცირდება არც ქალის, არც შავკანიანი, არც ადვოკატის კატეგორიებთან. ეს ფაქტი აძლევს მეცნიერებს საფუძველს, რომ გამოყონ იმ სოციალური ჯგუფების სტერეოტიპების განსაკუთრებული სახეობები, რომლებიც ეფუძნება რამდენიმე სოციალურ სტატუსს. ისინი თვლიან, რომ აღნიშნულ სოციალურ ჯგუფებს მიეწერება სრულიად განსაზღვრული, მყარი და ბევრის მიერ გაზიარებული თვისებები, რომლებიც არ წარმოადგენს თითოეული სტატუსის მახასიათებლების ჯამს. აღნიშნული საშუალებას იძლევა რომ ვილაპარაკოთ მათ სტერეოტიპიზაციაზე.

გენდერული სტერეოტიპების გამოყენება ერთი და იგივე ადამიანების მიმართ განსხვავდება ასევე სოციალური სიტუაციის მიხედვით: ერთ შემთხვევაში ქალ-ოფიცერს ადარებენ მამაკაც-ოფიცერს, ხოლო სხვა შემთხვევაში - ქალ-აღმზრდელს. ცხადია, რომ მეორე შემთხვევაში მას ჩათვლიან უფრო ქმედუნარიანად. სოციალურ კონტექსტზე არის ასევე დამოკიდებული სტერეოტიპული თვისებების შეფასებაც. ასე მაგალითად, "ქალური სირბილე" შეიძლება შეფასებულ იქნეს პოზიტიურად ან ნეგატიურად იმისდა მიხედვით, ამ მარკერის ხმარება ხდება ქალი-პოლიტიკოსის თუ ქალი-აღმზრდელის ან დიასახლისის მიმართ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მასკულიზაციისა და ფემინურობის ცნებები საკმაოდ დინამიურია, ცვლილებები მათში დაკავშირებულია საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებთან და ისინი კულტურულად არის განპირობებული.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Basov S. A. Gender Stereotypes and Roles. Pacific Grove, 1992.
2. Broverman I., Vogel S. R., Broverman D. M., Clarkson F. E., Rosenkrantz P. S., Sex role Stereotype: A Current Appraisal// Journal of social Issues. 1972. № 28 (2).
3. Landrine H. Race and Class Stereotypes of Women//Sex Roles. 1985. Vol.13(1-2).
4. Рябова Т. Б. Женщина в истории западноевропейского средневековья. Иваново, 1999. гл. 1, 211 с.

**მაია თევზაძე  
გენდერული სტერეოტიპების მოდიფიცირების ფაქტორები  
რეზიუმე**

გენდერული სტერეოტიპები, მიუხედავად მათი მდგრადობისა, მაინც არ არიან სრულიად უცვლელნი. მასკულინობისა და ფემინურობის ცნებები საკმაოდ დინამიურია, ცვლილებები მათში დაკავშირებულია საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებთან და ისინი კულტურულად არის განპირობებული. მათი შინაარსი კორექტირდება სოციალური კონტექსტის მიხედვით, სუბიექტებისა და ობიექტების სტატუსური პოზიციების, ჯგუფებს შორის ურთიერთობათა მახასიათებლების მიხედვით.

**Maya Tevzadze  
Factors that Contribute to Modification of Gender Stereotypes  
Summary**

In spite of their sustainability, gender stereotypes are not completely immutable. The notions of femininity and masculinity are quite dynamic, changes that appear in them are linked with the changes in society and they are influenced by culture. Their concept is adjusted to social context, positions of subject and object and characteristics of intergroup communications.

**Майя Тевзадзе  
Факторы, обуславливающие модифицирование гендерных стереотипов  
Резюме**

Гендерные стереотипы, несмотря на их устойчивость, обладают всё-таки некоторой динамичностью. Маскулинность и фемининность, это понятия довольно динамичные, их изменения взаимосвязаны с изменениями, происходящими в социальной жизни общества и они культурно обусловлены.